12492/3-129/21 2 23122021

12492/3-129/21
23-12-2021

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით:

ბუნებრივი აირით დღემდე არ მარაგდება დუშეთის მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლები (მთიულეთის მიმართულება: პავლეური, ვაშლობი, ჯუღისი, ხარხეთი და ა.შ. ბაზალეთის თემი: გრიგოლაანთკარი, ჩუბინიანთკარი და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, არ მოხდა მისი „სოკარ ჯორჯიასთვის“ გადაცემა.

როდის დასრულდება ქონების გადაცემის პროცესი და როდის მოხდება აღნიშნული სოფლების მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგება?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ბადრი ჯაფარიძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

KA020103260914321

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი

MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2 Tel.: (+995 32) 2 99 11 05
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 23/9103 **31 / დეკემბერი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ბადრი ჯაფარიძეს

ბატონო ბადრი,

თქვენი ა/წ 23 დეკემბრის წერილის N12492/3-129/21 პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე ხაზოვანი ნაგებობების (გაზის მილების) მოსახლეობის გაზმომარაგების მიზნით შპს „სოკარ ჯორჯია გაზისათვის“ (შემდგომში - კომპანია) გადაცემის თაობაზე, გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სოკარ ჯორჯია გაზისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ოქტომბრის № 1821 განკარგულებით შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ საკუთრებაში გადაეცა დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყოფილ ჟინვალში, სოფელ საკრამულში, სოფელ ჩინთში და სოფელ მლაშეში მდებარე 4 ერთეული ხაზოვანი ნაგებობა (ს.კ 71.00.615, 71.00.613, 71.00.617, 71.00.359) შემდგომში მოსახლეობის გაზმომარაგების მიზნით.

ამასთან, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხარხეთი, სალაჯური, ჩუბინიანთკარი, პავლეური, მანასეური, გოგნაური, გრიგოლიანთკარი, ჩირდილელიანთკარი, სოფელი ცივწყარო, ჯუღისი, ვაშლობი, დოლასქედი,ზემო არანისი,ყვავილი) მდებარე 13 ერთეული ხაზოვანი ნაგებობების (ს.კ 71.00.641, 71.00.642, 71.00.640, 72.00.826, 71.00.645, 71.00.644, 71.00.647, 71.00.646, 71.00.643, 71.00.650, 71.00.649, 71.00.616 და 71.00.638) შემდგომში ლიცენზიანტი კომპანიისთვის გადაცემის თაობაზე მიმდინარეობს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათელა თურნავა